

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

ცხრ. N 1(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2025 წლის იანვარ-მარტის შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	7 634,4	4 343,5	3 290,9	8 472,8	3 517,8	4 955,0
გადასახადები	2 902,2	0,0	2 902,2	4 614,7	0,0	4 614,7
გრანტები	4 343,5	4 343,5	0,0	3 517,8	3 517,8	0,0
სხვა შემოსავლები	388,7	0,0	388,7	340,3	0,0	340,3
II. ხარჯები	5 721,7	597,7	5 123,9	4 767,1	394,5	4 372,6
შრომის ანაზღაურება	890,2	0,0	890,2	787,2	0,0	787,2
საქონელი და მომსახურება	1 175,5	479,7	695,8	902,1	343,1	559,0
სუბსიდიები	2 722,8	72,8	2 650,1	2 382,2	46,6	2 335,6
გრანტები	7,9	0,0	7,9	7,8	0,0	7,8
სოციალური უზრუნველყოფა	591,6	5,0	586,6	557,6	4,8	552,9
სხვა ხარჯები	333,6	40,3	293,3	130,2	0,0	130,2
III. საოპერაციო საღდო	1 912,7	3 745,7	-1 833,0	3 705,7	3 123,3	582,4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 884,7	4 592,1	292,6	3 974,3	3 775,4	199,0
ზრდა	4 894,7	4 592,1	302,6	3 974,3	3 775,4	199,0
კლება	10,0	0,0	10,0	0,0	0,0	0,0
V. მთლიანი საღდო	-2 972,0	-846,4	-2 125,6	-268,7	-652,1	383,4
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 972,0	-846,4	-2 125,6	-268,7	-652,1	383,4
ზრდა	0,0	0,0		0,0	0,0	
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			0,0		
კლება	2 971,986	846,406	2 125,580	268,665	652,055	-383,390
ვალუტა და დეპოზიტები	0,0		0,0	0,0		0,0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-52,0	0,0	-52,0	0,0	0,0	0,0
კლება	52,0	0,0	52,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0			0,0	0,0	
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

ცხრ. N 2 (ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2025 წლის პირველი კვარტლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	7 644,4	4 343,5	3 300,9	8 472,8	3 517,8	4 955,0	110,8	81,0	150,1
შემოსავლები	7 634,4	4 343,5	3 290,9	8 472,8	3 517,8	4 955,0	111,0	81,0	150,6

დასახელება	2025 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2025 წლის პირველი კვარტლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	10,0	0,0	10,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	10 616,4	5 189,9	5 426,5	8 741,5	4 169,9	4 571,6	82,3	80,3	84,2
ხარჯები	5 721,7	597,7	5 123,9	4 767,1	394,5	4 372,6	83,3	66,0	85,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 894,7	4 592,1	302,6	3 974,3	3 775,4	199,0	81,2	82,2	65,8
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	-2 972,0	-846,4	-2 125,6	-268,7	-652,1	383,4	0,0	0,0	0,0

მუნიციპალიტეტმა პირველ კვარტალში დაგეგმილი 7 644,4 ათასი ლარის შემოსულობების ნაცვლად მიიღო 8 472,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 110,8 %-ით. ხოლო გადასახდელები გეგმით გათვალისწინებული 10 616,4 ათასი ლარიდან დაფინანსდა 8 741,5 ათასი ლარით, 82,3 %-ით. საკუთარ სახსრებში მოხდა ნაშთის დაგროვება, ხოლო სახელმწიფო სახსრებით გასაწევი გადასახდელებში მოხდა ნაშთის გამოყენებაც ფონდებიდან მიღებული გრანტის გარდა. საბოლოოდ სულ პირველ კვარტალში მოხდა 652,1 ათასი ლარის ნაშთის გამოყენება.

ა) საგადასახადო შემოსავლები

ცხრ. N 3 (ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის პირველი კვარტლის გეგმა	2025 წლის კვარტლის ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	2 752,2	2 528,2	91,9
ქონების გადასახადი	150,0	2 086,5	1 391,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	100,0	2 450,3	2 450,3
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	50,0	-370,0	-740,1
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	4,5	
იურიდიულ პირებიდან	0,0	0,6	
გადასახადები სულ	2 902,2	4 614,7	159,0

პირველი კვარტლის შემოსულობებში ნახევარზე მეტი 54% გადასახადებზე მოდის და დაგეგმილი 2 902,2 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 4 614,7 ათასი ლარი, 159,0 %. მ. შ. ქონების გადასახადი დაგეგმილი 150,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 2 086,5 ათასი ლარი. აქედან საწარმოთა ქონების გადასახადი 2 450,3 ათასი ლარი, რომელიც სს საქართველოს რკინიგზის მიერ არის გადახდილი, ხოლო უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი, რომლის გადამხდელიც არის შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი, ამ ეტაპზე დაუბრუნდა წინა წლის გადახდილი თანხიდან 370,0 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადის პირველი კვარტლის გეგმა შესრულებულია 91,9 %-ით და მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 2 752,2 ათასი ლარიდან მიიღო 2 528,2 ათასი ლარი.

ბ) გრანტები

ცხრ. N 4 (ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	77,8	52,8	67,8
მიზნობრივი ტრანსფერები ცენტრალური სსიპ-ებიდან (მოსწავლეთა ტრანსპორტირება)	448,7	312,1	69,6
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3 538,2	3 152,9	89,1
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,000	0,000	0,0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	278,800	0,000	0,0
გრანტები სულ	4 343,5	3 517,8	81,0

პირველ კვარტალში მიღებულმა გრანტებმა შეადგინა 3 517,8 ათასი ლარი, 81,0 %, აღსანიშნავია რომ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 77,8 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 52,8 ათასი ლარი, 67,8 %. აქედან საზოგადოების სუბსიდირებისათვის 47,750 ათასი ლარი, ომის ვეტერანთა

და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯებისათვის 0,250 ათასი ლარი, არასრულწლოვანთა დასახმარებლად 4,750 ათასი ლარი. შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამის დაუფინანსებლობის გამო, ვინაიდან ხარაგაულის მუიციპალიტეტს ამ ეტაპზე არ ყავს პროგრამის განმახორციელებელი პროვაიდერი ორგანიზაცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოძიება.

გ) სხვა შემოსავლები

ცხრ. N 5 (ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	60,0	174,1	290,1
პროცენტები	37,5	121,0	322,6
რენტა	22,5	53,1	235,9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	10,0	28,6	285,6
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	12,5	24,5	196,1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	23,7	19,7	83,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	23,7	19,7	83,0
სანებართვო მოსაკრებელი	0,0	0,6	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	23,7	19,1	80,5
ჯარიმები, სანქციები და საურავები	305,0	139,5	45,7
სხვა შემოსავლები სულ	388,7	340,3	87,5

დ) არაფინანსური აქტივების კლება

ცხრ. N 6 (ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	10,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	0,0	0,0	
მიწა	0,0	0,0	
არაფინანსური აქტივების კლება	10,0	0,0	0,0

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

ცხრ. N 7 (ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	890,2	787,2	88,4
საქონელი და მომსახურება	1 175,5	902,1	76,7
სუბსიდიები	2 722,8	2 382,2	87,5
გრანტები	7,9	7,8	99,0
სოციალური უზრუნველყოფა	591,6	557,6	94,3
სხვა ხარჯები	333,6	130,2	39,0
ხარჯები სულ	5 721,7	4 767,1	83,3

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ყველა მუხლში სტაბილური შესრულებათა, გრდა სხვა ხარჯებისა , აღნიშნული მუხლით საქართველოს მთავრობის N 2400 განკარგულებით სოფელ მოლითში სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი სახლის სახურავების რეაბილიტაციისათვის პირველ კვარტალში აღებული ვალდებულება დასრულდა 04 აპრილს. ხოლო საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით მიმდინარეობს დაბაში თაბუკაშვილისა და დეკანოსიძის ქუჩებზე მდებარე N 3;4;5; მრავალბინიან სახლების მიმდებარედ საყრდენი კედლებისა და ეზოების მოწყობა.

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

ცხრ. N 8 (ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	4 884,7	3 974,3	81,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 884,7	3 974,3	81,2

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ცხრ. N 9 (ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	63,2	10,4	16,5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4 723,6	3 867,0	81,9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0,0	0,0	0,0
04 00	განათლება	4,2	0,0	0,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	103,7	96,9	93,5
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0

ზ) ვალდებულებები

ცხრ. N 10 (ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
სამშინაო კრედიტორები			
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0

ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. მგფ-ის მიმართ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2025 წლის 1 აპრილისათვის შეადგენს 126,0 ათას ლარს.

თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა - 268.7 ათასი ლარის ოდენობით ფინანსური აქტივების კლება - 383,4 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთის დაგროვებას. ხოლო სახელმწიფო ფონდების ნაშთში 652,1 ათასი ლარი ნიშნავს სახელმწიფო ფონდების ნაშთების გამოყენებას.

ცხრ. N 11 (ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2025 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2025 წლის იანვარ-მარტის შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-3 407,2	-1 425,4	-1 981,8	-2 972,0	-846,4	-2 125,6	-268,7	-652,1	383,4
კლება	3 407,200	1 425,428	1 981,772	2 971,986	846,406	2 125,580	268,665	652,055	-383,390
VII. ვალდებულებების ცვლილება	-52,0	0,0	-52,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	52,0	0,0	52,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთი 2025 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით	0,0			0,0			5 904,131	1 539,712	4 364,419
ნაშთი 2025 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით.	0,0			0,0			5 635,466	887,657	4 747,809

ი) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

გამომდინარე იქიდან, რომ 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა მთლიანმა ნაშთმა (ცხრ. N 11) შეადგინა 5 904,1 ათასი ლარი, (მ.შ. სახ. ფონდით 1539,7 ათ. ლარი; საკ. სახსრებით 4 364,4 ათ. ლარი) აქედან ხარჯებში გადანაწილდა 3 407,2 ათასი ლარი (სახ. ფონდიდან 1 425,4 და საკ. სახსრებში 1 981,8 ათ. ლარი) თავისუფალი ნაშთი დარჩა დაახლოებით 2 496,9 ათ. ლარი (მ.შ. სახ. ფონდებში 114,3 ათ. ლარი; საკ. სახსრებში 2 382,6 ათ. ლარი) საკუთრივ პირველ კვარტლში ფინანსური აქტივების ფაქტიურმა კლებამ (დაგროვება) შეადგინა 268,7 ათასი ლარი (მ.შ. სხ. ფონდებში დაიხარჯა 652,1 ათ. ლარი, ხოლო საკ. სახსრებში დაგროვდა 383,4 ათასი ლარი) საბოლოოდ, პირველი აპრილის მდგომარეობით საბიუჯეტო სახსრების ნაშთი გახდა 5 635,5 ათასი ლარი. მ.შ. სახელმწიფო ფონდებში 887,7 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარ

საბიუჯეტო სახსრებში 4 747, 8 ათასი ლარი. საიდანაც როგორც ზევით აღინიშნა, საკ. სახსრებში გვექონდა თავისუფალი ნაშთი 2 382,6 ათასი ლარი, რომელსაც დაემატა დაგროვილი 383,4 ათასი ლარი და საბოლოოდ საკუთარ სახსრებში გაგვიხდა 2 766,0 ათასი ლარი (თავისუფალი) შემდგომი გადანაწილებისათვის.

ცხრ. N 12 (ათას ლარებში)

დასახელება	თანხა
N 2402 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	263,6
N 2401 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	20,7
N 2400 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	426,3
N 615 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	87,9
N 1025 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	30,9
N 550 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	10,0
N 746 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	487,5
N 116 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	80,5
N 2476 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	18,0
სულ ფონდებით	1425,4
საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 2024 წელში აღებული ვალდებულებების დასაფარავად	963,9
საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით ახალი ვალდებულებების დასაფარავად (8.8. 515,3 ათ. ლარი ბიუჯეტის დამტკიცების დროს)	1017,9
სულ საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით	1981,8
სულ გამოყენებული ნაშთი	3407,2


ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ცხრ. N 13 (ათას ლარებში)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2025 წლის პირველი კვარტლის გეგმა	2025 წლის იანვარ-მარტის შესრულება	გეგმის შესრულების %
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 480,3	1 230,7	83,1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 479,3	1 230,7	83,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 479,3	1 230,7	83,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 909,6	4 029,1	82,1
7045	ტრანსპორტი	4 909,6	4 029,1	82,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 909,6	4 029,1	82,1
705	გარემოს დაცვა	631,3	540,2	85,6
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	550,8	466,8	84,8
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	76,6	73,4	95,9
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	4,0	0,0	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	326,3	145,4	44,6
7061	ბინათმშენებლობა	163,1	3,2	2,0
7063	წყალმომარაგება	1,0	0,0	0,0
7064	გარე განათება	123,3	103,3	83,8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	38,9	38,9	100,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	75,1	68,6	91,3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	75,1	68,6	91,3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	870,9	757,7	87,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	305,3	259,2	84,9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	477,1	419,6	88,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	38,9	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	44,5	40,0	89,9
709	განათლება	1 553,7	1 319,6	84,9
7091	სკოლამდელი აღზრდა	974,1	887,9	91,1
7092	ზოგადი განათლება	496,6	358,9	72,3
70923	საშუალო ზოგადი განათლება	496,6	358,9	72,3
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	83,0	72,8	87,8
710	სოციალური დაცვა	769,2	650,3	84,5
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	188,5	185,4	98,3
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	164,5	163,2	99,2
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	24,0	22,2	92,4
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,0	1,0	100,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	15,0	12,0	79,7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	381,5	343,6	90,1
7106	საცხოვრებით უზრუნველყოფა	38,0	18,7	49,1
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	5,3	2,0	38,1
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	140,0	87,7	62,6
	სულ	10 616,4	8 741,5	82,3


II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 8 741,5ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 616,4 ათასი ლარი) 82,3 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 4 587,0 ათასი ლარით, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს 4 986,8 ათასი ლარით.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით
ცხრ. N 14 (ათას ლარებში)

სულ	8741,5	100,0
მმართველობა და საერთო დანიშნულება	1 230,7	14,1
ინფრასტრუქტურის განვითარება	4 175,5	47,8
დასუფთავება და გარემოს დაცვა	466,8	6,2
განათლება	1 319,6	15,0
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	757,7	8,7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	718,9	8,2



1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო პერიოდში მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 1 230.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 480.3 ათასი ლარი) 83.1 პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 285.2 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის მერია 944.2 ათასი ლარი; კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 1,2 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 67,4 ათასი ლარი. მათ შორის:

N	პროგრამული კოდი	ბრძანების N	ხარჯის დანიშნულება	თანხა ლარებში
---	-----------------	-------------	--------------------	---------------

N	პროგრამული კოდი	ბრძანების N	ხარჯის დანიშნულება	თანხა ლარებში
1	06 03 01	ბ68.68250155 (15.01.2025)	სოფ. ურამეთში მცხოვრები მოქალაქის სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად.	3000
2	06 03 17	ბ68.68250212 (21.01.2025)	დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოქალაქეების დასახმარებლად	3000
3	06 03 04	ბ68.68250356 (04.02.2025)	სოფ. ვარძიაში მცხოვრები მოქალაქის სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად.	1500
4	06 03 01	ბ68.68250444 (13.02.2025)	დაბა ხარაგაულში და სოფელ ქოლში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად.	2000
5	06 03 04	ბ68.68250557 (24.02.2025)	ერთჯერადი ფინანსური დახმარება სოფ. მარელისში მცხოვრები მოქალაქისათვის	6000
6	06 03 04	ბ68.68250592 ბრძანებით ცვლილება შევიდა ბ68.6825059001(28.02.2025)	რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო შექმნილი მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარების მიზნით	40000
7	06 03 01	ბ68.68250706 (11.03.2025)	დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოქალაქის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით	2000
8	06 03 17	ბ68.68250772 (18.03.2025)	სოფ. ზონიკაში მცხოვრები მოქალაქის დასახმარებლად	5000
9	06 03 01	ბ68.68250837 (24.03.2025)	სოფ. ღორეშაში მცხოვრები მოქალაქის ოპერაციის ხარჯების დასაფინანსებლად.	5000
		სულ		67500

2) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 4 174,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 79,7 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ცხრ. N 16 (ათას ლარებში)

პრ.კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	პირველი კვარტლის გეგმა	პირველი კვარტლის შესრულება	გეგმის შესრულების %
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5 235,883	4 174,5	79,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4 904,6	4 029,1	82,2
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	4 539,8	3 705,947	81,6
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	199,9	187,0	93,6
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	10,0	2,8	28,0
02 01 04	ხიდების, ბოგიერების მშენებლობა, რეაბილიტაცია	115,0	109,4	95,2
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	40,0	23,9	59,9
02 02	წყლის სისტემის განვითარება	1,0	0,0	0,0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	1,0	0,0	0,0
02 03	გარე განათება	123,3	103,3	83,8
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	123,3	103,3	83,8
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	163,1	3,2	2,0
02 05	კეთილმოწყობა	38,9	38,9	100,0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	38,9	38,9	100,0
02 09	სოფლის მხარდაჭერი პროგრამა	5,0	0,0	0,0

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების, ხიდების, ხიდბოგიერების და მილხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა; საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხოების მომსახურების დაფინანსება; მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება; წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

1.გზების კაპიტალური შეკეთებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი 4 539,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 3 705,9 ათასი ლარი და დაფინანსდა 81,6 პროცენტით და დაიგო 32 169 გრძ/მ ასფალტის საფარი და საერთო ჯამში 11 825 ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

მათ შორის:

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31/12 N 1955 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 3 137.7 ათასი ლარის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები,

რომლებიც ფაქტიურად შესრულებული იყო 2024 წელში წინსწრებით. ზოგიერთი პროექტი არის გარდამავალი და მიმდინარეობდა ორ და სამ ეტაპად. დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

ცხრ. N 17 (ათას ლარებში)

საქართველოს მთავრობის 2024 წლის N 1955 განკარგულება (31.12.2024)		
ხელშ. N	პროექტის დასახელება	გადარიცხული თანხა ფონდით
	სულ	3 137,669
59	ღორემა-მარიაშყაროს გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)	239,170
59	სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	320,031
45	სოფელ ნებომირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	348,907
44	სოფელ ბაზალეთში ლომსაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	132,078
48	სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (საუბნო გზის 2 უბანში)	108,480
41	სოფელ ღუდუმეჭეთში გზის რეაბილიტაცია (კახორის ეკლესიამდე მისასვლელი გზა)	179,342
40	სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (მელქაძეების უბანი)	226,775
39	სოფელ ვაშლეშში გზის რეაბილიტაცია	284,898
46	სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია	120,331
47	სოფელ ჯაფაროულში საუბნო გზის რეაბილიტაცია	59,417
43	სოფელ კიკნში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	67,949
46	სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (გუმბათის უბანი II ეტაპი)	66,379
49	სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (კაქნარი კოდაბოლოს უბანი	230,460
43	ბორი -საქარბეჭეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	245,833
45	სოფელ ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ელაზნაურის და არევაძის უბანი)	10,227
44	სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია (ჭილოფის უბანი)	111,980
49	სოფელ საღანძილის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მაღალმინდორის უბანი)	66,856
40	სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია	53,142
41	სოფელ ღუდუმეჭეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	1,746
47	სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია	49,763
229	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	108,318
199	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ვარძიაში გზის რეაბილიტაცია (დვლების უბანი)	105,585

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28/12 N 2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრებიდან სოფ ჩრდილში გზის საყრდენი კედლის მოწყობაზე დაიხარჯა 231,8 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20/01 N 116 განკარგულებით სოფ.ლეღვანში ზადრი შარიქაძის სახლის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობაზე დაიხარჯა 77,2 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28/12 N 2402 განკარგულებით საგზაო ინფრასტრუქტურის დაფინანსებაზე დაიხარჯა 221,6 ათასი ლარი და დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

ცხრ. N 18 (ათას ლარებში)

საქართველოს მთავრობის N 2402 განკარგულება(28.12.2023)		
ხელშ. N	პროექტის დასახელება	გადარიცხული თანხა ფონდით
	სულ	221 568
192	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	7500
59	სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	11250
45	სოფელ ნებომირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	10000
44	სოფელ ბაზალეთში ლომსაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	7500
40	სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (მელქაძეების უბანი)	10000
39	სოფელ ვაშლეშში გზის რეაბილიტაცია	10000
46	სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია	10000
47	სოფელ ჯაფაროულში საუბნო გზის რეაბილიტაცია	8502
43	სოფელ კიკნში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	29379
46	სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (გუმბათის უბანი II ეტაპი)	7250
49	სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (კაქნარი -კოდაბოლოს უბანი)	12500
43	ბორი-საქარბეჭეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	12701
45	სოფელ ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ელაზნაურის და არევაძის უბანი)	31781
46	სოფელ ხუნევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ეკლესიის უბანი)	500
44	სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია (ჭილოფის უბანი)	14567
49	სოფელ საღანძილის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მაღალმინდორის უბანი)	16138
40	სოფელ ხიდრის საუბნო გზის რეაბილიტაცია	6000
47	სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია	5000
202	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორემაში მარიაშყაროს საუბნო გზის რეაბილიტაცია	11000

მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დახარჯულია 37,8 ათასი ლარი, საიდანაც 26,8 ათასი ლარი მოხმარდა გზებზე ზედამხედველობისა და ინსპექტირების ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო 11,0 ათასი ლარი მოხმარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პატარა ვარძიაში დვლების უბნის გზის მობეტონებას.

2. გზების მოვლა-შენახვაზე დაგეგმილი 199,9 ათასი ლარიდან დაფინანსდა 187,0 ათასი ლარი, 93,6 პროცენტი, ხარჯები ძირითადად გაწეულია გზების გათოვლასა და გასწორხაზოვნებაზე.

3. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება დაფინანსებულია 2,8 ათასი ლარით და გაწეულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფის მომსახურების ხარჯი.

4. ხიდების, ბოგიერების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსებულია 109,2 ათასი ლარით, მ. შ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26/04 N 615 განკარგულებით 86,7 ათასი ლარი სოფელ ზედუბანსა და დეისში ხიდბოგიერების აღსადგენად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28/12 N 2400 განკარგულებით სოფელ ჩალხაეთში დაზიანებული საფეხმავლო ბონდის რეაბილიტაციისათვის 20,5 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხიდების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 2,2 ათასი ლარი ზედამხედველობისა და ინსპექტირების ხარჯების ანაზღაურებაზე.

5. მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე დახარჯულია 23,9 ათასი ლარი.

ბ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა და მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულების დაფარვა 103,3 თასი ლარით.

გ) მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 163,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 3,2 ათასი ლარი, აღნიშნული წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის მიმდებარედ საყრდენი კედლის პროექტირების თანხას. პირველ კვარტალში აღებულია ვალდებულება 122,8 ათას ლარზე, მათ შორის 6,7 ათასი ლარზე საზედამხედველი და და ინსპექტირების ხარჯების დასაფინანსებლად და 116,1 ათასი ლარზე რეზო თაბუკაშვილის ქუჩაზე N3,4 _ში საყრდენი კედლებისა და ეზოს მოწყობის სამუშაოებზე, რომელიც ჯერ არ არის დასრულებული.

დ) კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დახარჯულია 38,9 ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრებიდან ოფ ბაზალეთში ელისო ჭიპაშვილის სახელობის სკვერისა და სოფ სარგვეშში ზურაბ (ხვიჩა) მუმლაძის სახელობის სკვერის დასრულების სამუშაოებზე.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 540,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 85,6 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 466,8 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, სკვერებისა და მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა დაფინანსდა 73,4 ათასი ლარით,

ცხრ. N 19 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	გეგმის შესრულების %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	631,3	540,2	85,6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	550,8	466,8	84,8
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	76,6	73,4	95,9
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	4,0	0,0	0,0

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ყოველდღიურად იგვებოდა და იწმინდებოდა თოვლისგან დაბის ქუჩები. განხორციელდა დაბასა და მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხდებოდა მყარი ნარჩენების შეგროვება -გატანა კვირაში ორჯერ ნარჩენების გატანის საშუალო თვიური ჯამია: დაბაში ---105 მ. კუბი. სოფლები- 393 მ.კუბი. სულ: 498 მ. კუბი.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2025 წლის იანვარ-მარტის განმავლობაში დაფინანსდა 1 319,9 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 1 553,7 ათასი ლარის- 84,9 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 887,9 ათასი ლარი; საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 312,1ათასი ლარი; ბორის სკოლა პანსიონი დაფინანსდა 46,8 ათასი ლარით და ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი 72,8 ათასი ლარით.

ცხრ. N 20 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	გეგმის შესრულების %
-------------	------------	-------	-------	---------------------

04 00	განათლება	1 553,7	1 319,6	84,9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	973,1	887,9	91,2
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,0	0,0	0,0
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	448,7	312,1	69,6
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	47,9	46,8	97,6
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	83,0	72,8	87,8

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 21 საბავშვო ბაღსა და 6 სკოლისათვის მზაობის ჯგუფში რეგისტრირებულია 470 აღსაზრდელი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში ოთხჯერადი კვება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯმა დღეში საშუალოდ 4,50 ლარი შეადგინა. 10 საბავშვო ბაღში სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად მოხდა სამფაზიანი ელენერგიის შეყვანა, რათა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით სამზარეულოები გადასულია ელექტრო ქურებით სარგებლობაზე. ყველა საბავშვო ბაღა-ბაღი სტანდარტის შესაბამისი პირობებითა არის უზრუნველყოფილი.

ბ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)
პროგრამას 2025 წლის პირველ კვარტალში ემსახურებოდა 140 მიმართულებით მიკრო ავტობუსის 90 მძღოლი და სარგებლობდა 1310 ბავშვი.

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა, აღნიშნული პროგრამით ფინანსდება სსიპ ბორის საჯარო სკოლა- (ინტერნატი), სადაც ამჟამად 9 მოსწავლე ათევს ღამეს, მათ შორის არიან უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული მოსწავლეები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან ღამის გათევით, კვებით და მკურნალობით, ასევე აუცილებელი ჰიგიენის ნივთებით და ტანსაცმლით. პანსიონში დამრჩენი მოსწავლეებიდან ხუთი არის ხარაგაულში მცხოვრები.

დ) სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03) პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“, სადაც სხვადასხვა წრეებში ჩართული 230 მოსწავლე ღებულობს ბავშვთა პიროვნულ განვითარებას, თავისუფალ შემოქმედებით აზროვნებას და საგანმანათლებლო დონის ამაღლებას.

5) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 757,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 870,9 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 87,0 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 259,2 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 419,6 ათასი ლარი, რელიგიური ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობას - 40,0 ათასი ლარი, საგამომცემლო საქმიანობას (ა(ა)იპ - 38,9 ათასი ლარი.

ცხრ. N 21 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	გეგმა	გვაქტი	გეგმის შესრულების %
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	870,9	757,7	87,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	305,3	259,2	84,9
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	7,0	5,0	71,4
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	218,3	176,0	80,6
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	80,0	78,2	97,8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	477,1	419,6	88,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	471,1	418,8	88,9
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	66,8	65,2	97,7
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	396,8	346,1	87,2
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	7,5	7,4	99,0
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	6,0	0,8	13,7
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	44,1	38,9	88,2
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40,0	40,0	100,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	4,5	0,0	0,0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს 2025 წლის პირველ კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეულია 5,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარებულ (ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადბიქტონი) სასკოლო და რეგიონალურ ტურნირებში.

ა(ა)იპ ხარაგაულის სპორტულ სკოლაში 2025 წლის 3 თვეში (პროგრამული კოდი 05 01 01 07)

დაიხარჯა 176,0 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სპორტსკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისში მიუდოში ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატში; ასევე მონაწილეობდნენ ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეთერთმეტე საკლუბო ჩემპიონატში. ქალაქ ზესტაფონში ჩატარებულ სალიცენზიო შეჯიბრებაში კი მოიპოვეს პირველი ადგილი.

თავისუფალ ჭიდაობაში ქალაქ ბაღდადში გამართულ ღია პირველობაზე დაიკავეს მესამე ადგილი.

კუნგფუში ევრაზიის პირველობაზე მოიპოვეს პირველი და მეორე ადგილი.

მკლავჭიდში საქართველოს პირველობაზე დაიკავეს სამი პირველი ადგილი და მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის საგზური. ასევე ქალაქ გორში გამართულ ჩემპიონატში გამართულ ტურნირზე მოიპოვეს მეორე და მესამე სპრიზო ადგილები;

